

თპუ
სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი № 3

თბილისი

1 აპრილი, 2010 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორები: კახი ყურაშვილი, მაკა სალხინაშვილი, თამარ ჩიტოშვილი; ასოც. პროფესორები: დავით გეფერიძე და გიორგი თუმანიშვილი, ასისიტენტ-პროფესორები ანასტასია აბაიძე, ლევან მახარაშვილი

სხდომის თავჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი: 1. საბაკალავრო თემების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. მ. სალხინაშვილი)
2. სამაგისტრო თემების დამტკიცება (მომხსენებელი პროფ. თ. ჩიტოშვილი)

მოსმინეს: 1. თპუ სამართლის ფაკულტეტის პროფესორ მაკა სალხინაშვილის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიმდინარე სასწავლო წელს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საჯარო მიმართულებით სწავლებას ასრულებს 7 სტუდენტი, რომელთაც მოეთხოვებათ საბაკალავრო ნაშრომის დამუშავება და დაცვა. ქალბატონი მაკა ადასტურებს, რომ ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტებს გააცნო საბაკალავრო ნაშრომების შესრულების ინსტრუქცია და მათთან შეთანხმებით შეარჩია საბაკალავრო ნაშრომების თემები, გეგმა და გამოსაყენებელი ლიტერატურა. ბაკალავრებისათვის დასამუშავებლად შერჩეული და წარმოდგენილი იქნა შემდეგი საბაკალავრო თემები:

- ა) სალომე ფაცაცია – საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში;
- ბ) ალიონა შუბითიძე – ადამიანის უფლებები;
- გ) ელისო ნიკურაძე – ფედერალიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
- დ) გიორგი ქართველიშვილი – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო;
- ე) მარინა აბაშიძე – სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა;
- ვ) ნინო მაისურაძე – ადამიანის საარჩევნო და პოლიტიკური უფლებები;
- ზ) ნათია ვაშალომიძე – ხელისუფლების დაყოფის პრინციპები.

2. თპუ სამართლის ფაკულტეტის პროფესორ თამარ ჩიტოშვილის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მიმდინარე სასწავლო წელს კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას ასრულებს 5 სტუდენტი, რომელთაც მოეთხოვებათ სამაგისტრო ნაშრომის დამუშავება და დაცვა. განიხილა

ქალბატონ თამარ ჩიტოშვილის ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც წარმოდგენილი იყო ხუთივე სტუდენტის სამაგისტრო თემების დასახელება, სემდეგი სახით:

- ა) გრძელიშვილი მაია – ტურისტული ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება;
- ბ) თინათინ ჯიბლაძე – კანონისმიერ მემკვიდრეებში ქონების განაწილების წესი და პირობები;
- გ) დიმიტრი კარუნა – საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება;
- დ) გიორგი პავლიაშვილი – მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების სამართლებრივი რეგულირება;
- ე) კონსტანტინე მაზმიშვილი – გარიგებები


აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორმა კახი ყურაშვილმა, ასოც. პროფესორმა გ. თუმანიშვილმა

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა:

1. თჳუ სამართლის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებს დაუმტკიცდეთ სხდომაზე წარმოდგენილი საბაკალავრო თემები და ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი მაკა სალხინაშვილი.
2. თჳუ სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტებს დაუმტკიცდეთ სხდომაზე წარმოდგენილი სამაგისტრო თემები და ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი თამარ ჩიტოშვილი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე

